ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №37

21 მარტი 2016 წ

დ. ლენტეხი

ერთის მხრივ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული. მისი სახით- მუნიციპალიტეტის გამგებელი ამირან ჯამბურიძე (შემდგომში შემსყიდველი) და
მეორეს მხრივ :ი/მ ზურაბ ცვარიანი
მისი სახით: ზ.ცვარიანი
ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის და სოფლების ცენტრებისათვის გარე განათების მოწყობა CPV-34928500

2. შესყიდვის საფუძველი

2. მონეტარული ზღვრის დაცვით

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს /4700/ (ოთხიათასშვიდასი) ლარი საქართველოში დადგენილი ყველა ხარჯის და გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2016 წლის 30 მარტი
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დაბა ლენტეხი
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
5.2. შესყიდვების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3.. ანაზღაურების ადგილია: დ. ლენტეხი.
5.4. შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშსწორება შეალედური აქტების წარმოდგენის საფუძველზე
5.5 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში
5.6 სრულად აუნაზღაურდეს მარტის თვეში გაწეული სამუშაოს ღირებულება

6. მხარეთა უფლებამოვალეობანი.

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშ-ბით გათვალისწინებულ პირობებთან.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშ-ბით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულება.
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების სარეთო ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.
7.6. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10-%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწვიტონ ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 აპრილი

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სრული ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწის ძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება. კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გამგებლის მიერ დანიშნული ტექზედამხედველი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისაგან და ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პითან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

თვითმმართველი ერთეული ლენტეხის მუნიციპალიტეტი	ი/მ ზურაბ ცვარიანი
ს.ს ლიბერთი ბანკის ლენტეხის ფილიალი ბანკის კოდი: 220101486 ანგ № GE95LB0120114216701000 საიდენტიფიკაციო კოდი: 234065560	ს.ს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ა/№ GE21LB0112182054627000 ს/კ 49001013721

15. მხარეთა ხელმოწერები:

1. [signature] /[illegible]/ 2. [signature] / ზ.ცვარიანი/